ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ბ5-24, 22.04.2024

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №8, 26.04.2024

საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / Bachelor of Business Administration

სწავლის ხანგრძლივობა: 3 წელი (6 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 180 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: აფილირებული, პროფესორი - ეკატერინე ნაცვლიშვილი, მობ.: (+995) 599 75 66 14, ელ. ფოსტა: natsvlishvili.ekaterine@eu.edu.ge.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება: სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა);
2. უცხოური ენებიდან ერთ-ერთი შემდეგი ენა: ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა);
3. ერთ-ერთი შემდეგი საგანი: მათემატიკა/ისტორია (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - კანონმდებლობით

განსაზღვრული მინიმალური ბარიერის დაძლევა). თითოეული საგნისათვის (მათემატიკა/ისტორია) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოიპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის აქტუალობა

ეკონომიკის ცალკეული დარგებისა თუ თანამედროვე ბიზნესის განვითარების ტენდენციები მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ ბიზნეს-საწარმოების თუ კომპანიების, ზოგადად - კერძო თუ საჯარო სექტორში ფუნქციონირებადი ორგანიზაციების განვითარების კვალად, იზრდება/ფართოვდება სამეურნეო საქმიანობის გაძღოლისა თუ ცალკეულ ფუნქციურ სფეროებთან დაკავშირებული სამუშაოების არეალი და იქმნება ახალი პოზიციების, მათ შორის, მენეჯერის, ბიზნესის ცალკეული ფუნქციური სფეროს მართვის სპეციალისტის, ბიზნეს-ანალიტიკოსისა თუ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სხვადასხვა ფუნქციური ან/და ტექნიკური პოზიციის შექმნის საჭიროება. საყურადღებოა ისიც, რომ საქართველო დღითიდღე უფრო საინტერესო ხდება უცხოელი ინვესტორებისთვის. ხორციელდება ახალი ინვესტიციები, ფუძნდება ახალი ორგანიზაციები/ კომპანიები/ფილიალები, რომლებიც საჭიროებენ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფას, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების აქტუალობას.

ბიზნესის ადმინისტრიების სფეროს სპეციალისტებზე მოთხოვნას განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ თანამედროვე გლობალური კონკურენციისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, როდესაც ბიზნესი მძაფრად განიცდის გარე სამყაროდან მზარდ ზემოქმედებას, ნებისმიერი ბიზნესის, საწარმოსა თუ ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო ამოცანას წარმოადგენს მართვასთან დაკავშირებული ფუნქციების/აქტივობების კვალიფიციურად განხორციელება, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს ბიზნესის მართვის თანამედროვე მეთოდების მცოდნე კვალიფიციურ კადრებს, რომელთაც შეუძლიათ ადგილობრივი ან/და საერთაშორისო ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, ეროვნული თუ საერთაშორისო საკანონმდებლო რეგულაციების, ასევე შეზღუდული რესურსების პირობებში, შეაფასონ თანამედროვე ბიზნეს-გარემო, სამეწარმეო საქმიანობის დაწყების ან/და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები თუ გამოწვევები; გამოავლინონ და შეაფასონ უშუალოდ ბიზნესსაქმიანობის ძლიერი/სუსტი მხარეები, ბიზნეს - თუ ორგანიზაციული პროცესების მართვასთან დაკავშირებული რისკები, ბიზნესის ეფექტურად და ეფექტიანად მართვის

შესაძლებლობები და მათი გამოყენების პირობები; განსაზღვრონ ბიზნესის განხორციელების მიმართულება და პოლიტიკა, ორგანიზაციის / ბიზნესის / კონკრეტული ფუნქციური სფეროს განვითარების გრძელ - / მოკლევადიანი პერსპექტივები; კოორდინაცია გაუწიონ ბიზნესის ფუნქციური სფეროს / ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას, გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო რესურსების რაციონალურად გამოყენებას, რათა უზრუნველყონ ბიზნეს/კომპანიის / სტრუქტურული ერთეულის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბიზნესის ადმინისტრირების წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამის შემუშავება-განხორციელების აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე კომპანიების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნით ისეთ სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებსაც, აუცილებელ თეორიულ ცოდნასთან ერთად, აქვთ გლობალურ ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზის უნარი და შეუძლიათ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება მართვის სხვადასხვა დონეზე; ამასთან ერთად, გაცნობიერებული აქვთ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობაც - ისე დაგეგმონ და განახორციელონ სამუშაო პროცესები, რომ შეესაბამებოდეს როგორც კომპანიის (ორგანიზაციის), ასევე, საზოგადოების ინტერესებს; შესწევთ უნარი კერძო და სახელმწიფო ინტერესები მოაქციონ ჰარმონიულ ურთიერთობათა ჩარჩოში და პროდუქტის/მომსახურების წარმოების თაობაზე ბიზნეს/ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიღებისას გაითვალისწინონ ბიზნეს-ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპები.

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაში გამჭოლადაა ასახული ევროპის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები, აგრეთვე ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ძირითადი მიზნები და ამოცანები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია - უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწავლების შეთავაზებით მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი, კვალიფიციური სპეციალისტები, რომელნიც, სათანადო დარგობრივი ცოდნა-უნარების კვალად, ფლობენ ასევე კურსდამთავრებულის პიროვნული მიღწევებისა და განვითარებისათვის, მისი სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისათვის მნიშვნელოვან კომპეტენციებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

1. მისცეს ფართო ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, საფუძვლიანად გაარკვიოს თანამედროვე ბიზნეს-გარემოსა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების თუ გამოწვევების შეფასებასთან, ორგანიზაციული თუ ბიზნეს-პროცესების მართვასთან, სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებში; დააუფლოს ბიზნესის მართვის პროცესში წამოჭრილი სტანდარტული თუ გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭირო მეთოდებს და ინსტრუმენტებს; შესძინოს სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და ბიზნესის გაძღოლის უნარ-ჩვევები.

2. გაუღრმაოს თეორიული ცოდნა ბიზნესის ფუნქციურ მიმართულებებში (მენეჯმენტი / მარკეტინგი/ფინანსები); ჩამოუყალიბოს ქვედა და შუალედური რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები; მოამზადოს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კომპანიებში/საჯარო

ორგანიზაციებში მმართველობის ქვედა/შუალედურ რგოლში დასაქმებისა და საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ან/და საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებისთვის.

3. განუვითაროს პროფესიული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი ზოგადი კომპეტენციები: ბიზნეს-პროექტის/მოხსენების მომზადება-წარდგენის და ეფექტური კომუნიკაციის, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისა და მონაცემთა მოძიება-დამუშავების, მცირე მასშტაბის კვლევის ჩატარების, პრობლემის გადაწყვეტის, პროფესიულ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობისა და დასაბუთებული დასკვნის, სამუშაოს დაგეგმვა-ორგანიზების და დროის მართვის, ლიდერობისა და გუნდში მუშაობის უნარ-ჩვევები; ხელი შეუწყოს კრეატიული აზროვნებისა და ბიზნესის ცვალებად გარემოსთან ადაპტირების უნარის განვითარებაში; სოციალურ პასუხისმგებლობასა თუ ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული ბიზნეს-საქმიანობის მიმართ სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

სწავლის შედეგები

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონეს (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი) და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ასევე, ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ იმ მოთხოვნებთან, რაც სავალდებულოდ განისაზღვრა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად და ეფუძნება რეკომენდირებულ სწავლის შედეგებს: https://eqe.ge/ka/page/static/1028/biznesi-administrireba-da-samartali.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალარო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება	**საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ფართო ცოდნა, რომლის საფუძველზეც:**
1	განიხილავს ბიზნესის ადმინისტრირების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს; ბიზნესის და მეწარმეობის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ეთიკურ და სამართლებრივ ასპექტებს; ბიზნესის ძირითად ფუნქციურ სფეროებს; ბიზნეს-ორგანიზაციების ეროვნულ და გლობალურ ეკონომიკურ გარემოს: ბიზნეს და ეკონომიკურ გარემოში მოქმედ აგენტებს, ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე პროცესებს, გლობალიზაციისა და ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ბიზნესის განვითარებისა და მართვის თანამედროვე ტენდენციებს, მიმართულებებს, უახლეს მიღწევებსა და გამოწვევებს; ხსნის ინოვაციებისა და თავისუფალი ბაზრის მნიშვნელობას სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის განვითარებისთვის; ზოგადად, მეწარმეობისა და ბიზნესის მნიშვნელობას ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისათვის;
2	განმარტავს ორგანიზაციის მართვის ფუნქციებს; სტრატეგიის ფორმულირება-განხორციელება-შეფასების პროცესსა და ხერხებს; ადამიანური რესურსების, გუნდური პროცესების და ორგანიზაციული ქცევის, კორპორატიული კულტურის, პროექტების, საწარმოო ოპერაციების, მიწოდების ჯაჭვისა და მარაგების, ხარისხისა და საინფორმაციო

	სისტემის მართვის პრინციპებს; მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს; ლიდერობის, ორგანიზაციული განვითარებისა და ცვლილებების მართვის მოდელებს, მათი გამოყენების თავისებურებებს; ხსნის ორგანიზაციის მართვის სფეროსთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსური განხილვის მნიშვნელობას;
3	აღწერს კომპანიის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვისა და მართვის სფეროს: ფინანსურ ინფრასტრუქტურას, ფინანსური სისტემის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებსა და მართვის მექანიზმებს; კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის, პროცესების ეფექტიანობისა და ფინანსური გადაწყვეტილების შეფასების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, მათი გამოყენების პირობებს; განმარტავს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების პრინციპებს; საინვესტიციო და ფინანსურ გადაწყვეტილებებს, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესს; საგადასახადო ვალდებულებებს, გადასახადების დაბეგვრასა და გადახდასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს;
4	განიხილავს კომპანიის მარკეტინგული საქმიანობის პრინციპებს; ტრადიციული თუ ონლაინ მარკეტინგისა და გაყიდვების მართვის თავისებურებებს; ბაზრის მარკეტინგული კვლევის დაგეგმვა-ჩატარების მეთოდებს და პროცედურებს; მომხმარებელთა მოლოდინებისა და ქცევის შესწავლა-მართვის მეთოდებს; ეფექტური კომუნიკაციის, მოლაპარაკებისა და გაყიდვების სტრატეგიებსა და შერჩევის ტექნიკას; მარკეტინგის, ბრენდინგისა და გაყიდვების ურთიერთკავშირს; ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტებსა და არხებს, მათი გამოყენების პირობებს; თანამედროვე გლობალიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში მარკეტინგის სფეროსთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს;
უნარი	**საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში განვითარებული უნარების საფუძველზე კურსდამთავრებული:**
5	კონკრეტული სიტუაციური ამოცანის საჭიროებისამებრ შეარჩევს და იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, მენეჯმენტის ინსტრუმენტებს, ბიზნესის ანალიზის მეთოდებსა და/ან გადაწყვეტილების მიღების მოდელებს მიკრო- და/ან მაკრო გარემოს ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და მონაცემების შეკრება-დამუშავებისათვის; ორგანიზაციის და/ან ბიზნესის ფუნქციური სფეროს მართვასთან დაკავშირებული კომპლექსური თუ კონკრეტული პრობლემების კვლევისათვის; სამეწარმეო საქმიანობის ან/და ბიზნესის ორგანიზებაში ეკონომიკური, საფინანსო, მარკეტინგული, საწარმოო, ინოვაციური, საკადრო პროცესების ანალიზის, ცვლილებათა და გამოწვევათა იდენტიფიცირების, ბიზნესსაქმიანობის ძლიერი/სუსტი მხარეების, რისკ-ფაქტორებისა და შესაძლებლობების გამოვლენა-შეფასებისათვის; ორგანიზაციის /ბიზნესის / კონკრეტული ფუნქციური სფეროს განვითარების გრძელ -/ მოკლეევადიანი პერსპექტივების განსაზღვრისათვის; ორგანიზაციის / ბიზნესის / კონკრეტული ფუნქციური სფეროს მართვასთან დაკავშირებული ბიზნეს-ამოცანების გადაწყვეტისათვის;
6	აანალიზებს ეკონომიკის ფუნქციონირებისა და ეკონომიკური აგენტების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ზემოქმედ ფაქტორებს; ორგანიზაციის / ბიზნესის მართვის პროცესზე მიკრო, მაკრო, გლობალური ფაქტორების ზემოქმედების ძალას, პირობებს და შედეგებს; ორგანიზაციის/ბიზნესის მართვის პროცესში მულტიდისციპლინური მიდგომებისა და მენეჯერის ინსტრუმენტების გამოყენების, ციფრული ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ბიზნეს-მოდელების დანერგვის

	შესაძლებლობებსა და გამოწვევებს; ორგანიზაციული პროცესებისა თუ ბიზნესის ფუნქციური სფეროების მართვასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს;
7	კონკრეტული სიტუაციური მაგალითების განხილვისას, ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, აფასებს: ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობას, ბაზრისა და მეწარმე სუბიექტის პოტენციურ შესაძლებლობებს; გარემოს ცვლილების შესაძლო ეფექტს ბიზნესზე; სამეწარმეო საქმიანობის / ბიზნესის ორგანიზებაში ეკონომიკურ, საფინანსო, სადაზღვევო, მარკეტინგული, საწარმოო, ინოვაციურ, საკადრო პროცესებს; ბიზნესის გაძღოლის / ორგანიზაციის ფუნქციონირების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ძირითად რისკ-ფაქტორებს, რისკების აღმოცენების პირობებსა და შესაძლებლობებს; კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას; ორგანიზაციის/საწარმოს ოპტიმიზაციისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობებს, პირობებს; ორგანიზაციის ბიზნეს მოდელსა და ფუნქციონალურ სტრატეგიებს, სტრატეგიის განხორციელება-შეფასებისა და ორგანიზაციული პროცესების მართვის ღონისძიებებს; ცვლილებათა პროექტებს, მათი განხორციელების პირობებს;
8	კონკრეტული სიტუაციური მაგალითების განხილვისას, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ბიზნესის/ ორგანიზაციული გარემოს, ბაზრის კვლევის შედეგებისა და კონკურენტების ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრავს სამოქმედო მიზნებს და შეიმუშავებს /ამზადებს გეგმას/ანგარიშს ბიზნესის ცალკეული ფუნქციური სფეროსთვის; ცვალებად ბიზნეს გარემოზე დაკვირვებისა და შეგროვებული მონაცემების დამუშავება-დახარისხების საფუძველზე შეიმუშავებს ორგანიზაციის/ ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის განსახორციელებელი ცვლილებების წინადადებებს / რეკომენდაციებს; ამზადებს კომპანიის მენეჯმენტის ფინანსურ დოკუმენტებს, ანგარიშგებას; ორგანიზაციის/ბიზნესის მართვის პროცესში მენეჯერული ფუნქციების შესრულებისა და საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტებს;
ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა	**საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების საფუძველზე კურსდამთავრებული:**
9	წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, დამოუკიდებლად ახორციელებს ორგანიზაციის / ბიზნესის ფუნქციური სფეროს მართვასთან დაკავშირებულ კვლევით/პრაქტიკული ხასიათის პროექტს თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის საფუძველზე, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული, ასევე, ზოგიერთი არასტანდარტული მეთოდის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით. შესრულებულ სამუშაოს/პროექტს წერილობითი ან/და ზეპირი ფორმით წარადგენს დაინტერესებული მხარეების წინაშე; ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას, მონაწილეობს დისკუსიაში, მკაფიოდ აყალიბებს და არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ პოზიციას.
10	კონკრეტული სიტუაციური მაგალითების განხილვისას: აფასებს მენეჯერული/ სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და ეთიკურ შედეგებს; ბიზნესისა თუ ორგანიზაციული მენეჯმენტის სფეროში აღიარებული პრინციპების, დამკვიდრებული ნორმებისა და ღირებულებებისადმი საკუთარ თუ სხვების დამოკიდებულებას; გადაწყვეტილებებს იღებს / მოქმედებს ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და

	ზნეობრივი პასუხისმგებლობის ფარგლებში, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის, კორპორატიული კულტურის, ორგანიზაციული ქცევის, ბიზნეს ეთიკისა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფუნდამენტური პრინციპების დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. პროგრამის დანართი 1 - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა (იხ. პროგრამის დანართი 2 – საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა).

პროგრამის მოცულობა

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 3 აკადემიურ წელს (6 სემესტრს) და მოიცავს 180 (ECTS) კრედიტს (4500 საათს ჯამში). 1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს; კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 42 კვირას, ერთი სემესტრი 21 კვირას, მათ შორის 15 კვირა არის სასწავლო, დანარჩენი 6 კვირა კი სასესიო. მე-8 და მე-9 კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდას, მე–18 და მე–19 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია, ხოლო მე–20 და 21-ე კვირა დამატებითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედია დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურაში გათვალისწინებულია - ევროპის უნივერსიტეტის მისია; ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები; თანამედროვე ბიზნესის განვითარებისა და ქართული თუ საერთაშორისო დასაქმების ბაზრის ტენდენციები განათლების სფეროში. ასევე, გათვალისწინებულია წამყვანი ქართული და დასავლური უნივერსიტეტის მიერ ანალოგური კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის განხორციელების გამოცდილებაც.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, მათ შორის:

სავალდებულო კომპონენტი	**141 კრედიტი**

თავისუფალი კომპონენტი	20 კრედიტი	აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები	116 კრედიტი	აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები ხელს უწყობს როგორც ზოგადად ბიზნესის, ისე მის ცალკეულ ფუნქციურ სფეროში საბაზისო ცოდნა-უნარების შეძენას, ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო საკვანძო კომპეტენციების განვითარებას.
საბაკალავრო პროექტი	5 კრედიტი	საბაკალავრო პროექტი, როგორც საბაკალავრო პროგრამის შემაჯამებელი სამუშაო, ორიენტირებულია **ინტეგრირებული პრაქტიკული პროექტის** მომზადებაზე, რომლის მიზანია - სასწავლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის შესწავლის შედეგად სტუ-დენტის მიერ შეძენილი კომპეტენციების ინტეგრაცია, გაფართოვება და გაღრმავება კონკრეტული კომპანიის მაგალითზე არსებული პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბებისა და შემდგომი გადაწყვეტის მეშვეობით. ამდენად, საბაკალავრო პროექტის ფარგლებში პრაქტიკული ხასიათის კვლევითი პროექტის მომზადება სტუდენტს უყალიბებს მცირე კვლევითი ხასიათის პროექტის მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში მომზადების, წარდგენისა და დაცვის უნარ–ჩვევებს; გამოუმუშავებს კვლევის დაგეგმვის, თავისი ცოდნის დასაბუთების, პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარებს. – VI აკადემიურ სემესტრში სტუდენტი ინდივიდუალურად ასრულებს და იცავს საბაკალავრო პროექტს. სტუდენტს საბაკალავრო პროექტზე მუშაობის დაწყების შესაძლებლობა ეძლევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში გავლილი აქვს ყველა სასწავლო კურსი (გარდა პრაქტიკუმისა).
არჩევითი კომპონენტი	**39 კრედიტი**	
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	19 კრედიტი	– აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები ხელს უწყობს სტუდენტის ცოდნა-უნარების გაღრმავებას ბიზნესის ცალკეულ ფუნქციურ სფერო(ებ)თან (ოპერაციებისა და პროექტების მართვა; ფინანსების მართვა; მარკეტინგის მართვა; საერთაშორისო ბიზნესის მართვა) დაკავშირებულ საკვანძო საკითხებზე და ერთგვარად ეხმარება მას, საკუთარი ინტერესებისა და არჩევანის შესაბამისად, დამატებით შეიძინოს კონკრეტული მიმართულებით საქმიანობისა თუ პროფესიული კარიერის

		განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკვანძო კომპეტენციები.
თავისუფალი კომპონენტი	20 კრედიტი	აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს: – საკუთარი შეხედულებისა და ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან (სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით); – აითვისოს თავისუფალი კრედიტები ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებით და კიდევ უფრო გაიღრმავოს ცოდნა-უნარები ბიზნესის ცალკეული ფუნქციური მიმართულების მართვასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო.

ამდენად, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს საშუალება აქვს თავად შექმნას საკუთარი პროფილი სპეციალობის სავალდებულო, არჩევითი ან თავისუფალი სასწავლო კურსების კომბინირებით.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. სწავლების 3 წლიანი ციკლი ისეა დაგეგმილი, რომ ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების ლოგიკურად და თანმიმდევრულად მიღწევას:

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სწავლების 3 წლიანი ციკლი	
I კურსი	პირველ აკადემიურ წელს შეთავაზებული სასწავლო კურსები ორიენტირებულია, ერთი მხრივ, ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში კურსდამთავრებულის პიროვნული მიღწევებისა და განვითა-რებისათვის, მისი სოციალური ჩართულობისა და წარმატებით დასაქმებისათვის; მეორე მხრივ კი, სტუდენტს აცნობს ბიზნესის ადმინისტრირების საბაზისო საკითხებს, წარმოდგენას უქმნის თანამედროვე ბიზნესის არსზე, განვითარების თანამედროვე ტენდენციებსა და მიმართულებებზე, ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებზე. I აკადემიურ სემესტრში შეთავაზებული კურსების დაუფლების გზით სტუდენტი ივითარებს უპირატესად: ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების და მონაცემთა მოძიება-დამუშავების, ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვის, აკადემიური სტილით დოკუმენტის მომზადების, კრიტიკული აზროვნებისა და ლოგიკური მსჯელობა-არგუმენტირების, ასევე სხვა საბაზისო უნარ-ჩვევებს. ხოლო, II აკადემიურ სემესტრში შეთავაზებული კურსების გავლის საფუძველზე, იგი ერკვევა თანამედროვე ბიზნესისა და

	ორგანიზაციული მენეჯმენტის საბაზისო ცნებებსა და აქტუალურ საკითხებში, ბიზნესის სამართლებრივ ფორმებსა და რეგულირების საკვანძო ასპექტებში, მიკრო დონეზე ეკონომიკის საფუძვლებსა და ბუღალტრული აღრიცხვის საბაზისო პრინციპებში. მაშასადამე, I აკადემიური წელი ემსახურება მიზანს, რომ სტუდენტმა შეიძინოს ზოგადი ცოდნა როგორც ახალი ბიზნესის დაწყების, ისე ბიზნესის განვითარების გზების, ბიზნესის ძირითადი ფუნქციური სფეროებისა და მათი მართვის მნიშვნელობის შესახებ; გამოიმუშავოს ბიზნესის დაწყებისა და გაძღოლისათვის მნიშვნელოვანი ხედვა და საბაზისო უნარ-ჩვევები; გაერკვეს თუ როგორ ფუნქციონირებენ ბაზრები კონკურენციის პირობებში, როგორ იღებენ ფირმები გადაწყვეტილებებს, რა როლს ასრულებს ბურალტრული აღრიცხვა ბიზნეს-საქმიანობაში და როგორ ხორციელდება აღრიცხვის ციკლი სა-მეურნეო ოპერაციების რეგისტრაციიდან ფინანსური ანგარიშგების მომზადების ჩათვლით; შეძლოს ორგანიზაციის საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირება, მიკრო დონეზე მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზი და ინტერპრეტირება.
II კურსი	მეორე აკადემიურ წელს შეთავაზებულია უპირატესად სწავლის ძირითადი სფეროს ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტს შესძინოს ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ საკითხებზე; საფუძ-ლიანად გაარკვიოს თანამედროვე ბიზნეს-გარემოსა და ბიზნესის ფუნქციურ სფეროებში მიმდინარე პროცესების, ბიზნესისა თუ ორგანიზაციის განვითარების შესაძლებლობების შეფასებასთან, გუნდში ლიდერობისა და ორგანიზაციული ქცევის მართვასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებსა თუ საბაზისო ინსტრუმენტებში; შესძინოს ბიზნეს-ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზისა თუ ბიზნესის ფუნქციურ სფეროებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისათვის რაოდენობ-რივი/თვისებრივი მეთოდების გამოყენების, ზოგადად, ორგანიზაციული/ბიზნეს-პროცესების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ცოდნა-უნარები; ჩამოუყალიბოს სოციალურ პასუხისმგებლობასა თუ ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული ბიზნეს-საქმიანობის მიმართ სწორი დამოკიდებულება და ბიზნესის მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ხედვა. III და IV აკადემიურ სემესტრში შეთავაზებულია ასევე სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიც, რომლებიც ეხმარება სტუდენტს, საკუთარი ინტერესებისა და არჩევანის შესაბამისად, დამატებით გაიღრმავოს ცოდნა ბიზნესის ცალკეულ ფუნქციურ სფეროსთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებზე და განივითაროს კონკრეტული მიმართულებით საქმიანობისა თუ პროფესიული კარიერის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კომპეტენციები.
III კურსი	მესამე აკადემიურ წელს, V სემესტრში სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტიდან შეთავაზებული სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია - სტუდენტს გაუღრმავოს ცოდნა-უნარები, რომელიც მნიშვნელოვანია სამეწარმეო საქმიანობის ან/და ბიზნესის ორგანიზებაში ეკონომიკური, საფინანსო, მარკეტინგული, საწარმოო, ინოვაციური, საკადრო პროცესების ანალიზის, ცვლილებათა თუ გამოწვევათა იდენტიფიცირების, ბიზნესსაქმიანობის ძლიერი/სუსტი მხარეების, რისკ-ფაქტორების და შესაძლებლობების გამოვლენა-შეფასებისათვის; ორგანიზაციის/ბიზ-ნესის/კონკრეტული ფუნქციური სფეროს განვითარების გრძელ/მოკლევადიანი პერსპექტივების განსაზღვრისათვის; ორგანიზაციის/ბიზნესის/კონკრეტული ფუნქციური სფეროს მართვასთან დაკავშირებული ბიზნეს-ამოცანების სტანდარტული/არასტანდარტული მიდგომით გადაწ-ყვეტისათვის. ხოლო, VI აკადემიურ სემესტრში სავალდებულო სტატუსით შეთავაზებული სასწავლო კურსები უპირატესად ორიენტირებულია სტუდენტს განუმტკიცოს ცოდნა-უნარები, რომელიც საჭიროა ორგანიზაციის/ბიზნესის ფუნქციური სფეროს მართვასთან დაკავშირებული კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტის/სამუშაოს დამოუკიდებლად (მინიმალური

	ხელმძღვანელობის პირობებში) შესრულებისათვის; ასევე, პრაქტიკული სამუშაოების/აქტივობების განხორციელების გზით გამოუმუშაოს ქვედა/შუალედური რგოლის მენეჯერულ პოზიციაზე საქმიანობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც მნიშვნელოვანია საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ან/და საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის განსახორციელებლად. ამავე სემესტრში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა საკუთარი კარიერული ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიოს სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო გეგმით (იხ. დანართი 5 - სასწავლო გეგმა).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას. დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს საერთო შეფასების 40%-ისა.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩაბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება VIII-IX კვირაში. შუალედური შეფასება გულისხმობს სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს სტუდენტების მუშაობის პროცესის, შუალედური გამოცდის და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ჯამურ შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება - დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასების მეთოდებს, შინაარსსა და მათ ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. სილაბუსში ასევე განმარტებულია თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50%, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50% + 1 ქულა.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვარის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ დაგროვილი ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი უფლებამოსილია, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის დაგროვების შემთხვევაში.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისა და ათვისებული ცოდნის ობიექტურად და სრულფასოვნად შეფასებისათვის გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმები. განმავითარებელი შეფასების მიზანია - სტუდენტის განვითარების ხელშეწყობა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო საგანია - სწავლის პროცესი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანი კი არის - სწავლის

ხარისხის გაკონტროლება; სტუდენტის მიღწევის დონის დადგენა სასწავლო კურსის სილაბუს(ებ)ით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით, აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა. ხოლო, შეფასების საგანია - სწავლის შედეგი - ცოდნა-უნარები და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

სტუდენტის ცოდნა-უნარებისა და მიღწევების განმსაზღვრელი შეფასება ხდება მრავალკომპონენტიანი სისტემით და ითვალისწინებს ორ შემადგენელ ფორმას - შუალედურ (მიმდინარე) შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისას გამოყენებულია შეფასების შემდეგი მეთოდები:

- **გამოკითხვა** (ზეპირი; წერილობითი) - გამოიყენება ძირითადად აკადემიური უნარების შესაფასებლად, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როცა საჭიროა სტუდენტის ცოდნისა და გაცნობიერების - თემატური საკითხების აღქმის, დამახსოვრების, საკითხის / კითხვის არსის გაგების, ნასწავლის ტრანსფერის, მსჯელობის, ანალიზის, შეფასებისა და გადმოცემის უნარების განსაზღვრა. ზეპირი გამოკითხვა - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მხრიდან ცალკეული სტუდენტის კოგნიტური უნარების შეფასებას სააზროვნო შეკითხვების დასმით გამოკითხვის ან/და სასემინარო მოხსენების ფორმატში. სააზროვნო შეკითხვებით გამოკითხვა არის სტუდენტის ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ამოწმებს დასმული თემატური კითხვ(ებ)ის გარშემო მის ცოდნას, საკითხის გააზრებისა და კითხვებზე რელევანტური პასუხების გაცემის უნარს. გამოკითხვის პროცესში ლექტორი, სტუდენტების ცოდნის გამომუღავნებისა და შეფასების მიზნით, სვამს კითხვებს ლექციის დროს ახსნილი და/ან მათ მიერ დამოუკიდებლად დამუშავებული მასალის გარშემო. პასუხების შეფასებისას ყურადღება ექცევა ძირითადად სტუდენტის აზროვნების სისხარტეს, პასუხის ადეკვატურობა/რელევანტურობას, ფაქტების/განმარტების სიზუსტეს, ლოგიკურ მსჯელობას, პასუხის დამაჯერებლად ფორმულირებისა და აზრის გასაგებ ენაზე გადმოცემის უნარს. სასემინარო მოხსენების მომზადება ითვალისწინებს განვლილი მასალის (რამდენიმე თემის) სიღრმისეული გააზრებისა და კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კონკრეტული თემატური საკითხის დამუშავებას, აქტუალური/კრიტიკული/სადისკუსიო საკითხების წამოწევასა და ზეპირ განხილვას მცირე მოხსენებისა და/ან დისკუსიის (კითხვა-პასუხის) ფორმატში. სასემინარო მოხსენების მომზადებისას სტუდენტი ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ასახავს წარმოდგენილი მოხსენება დასახულ მიზნებსა და შედეგებს, რამდენად შეესაბამება განხილული საკითხები დასამუშავებელ თემატიკას, რამდენად სწორად გამოკვეთა და სიღრმისეულად/კომპლექსურად გაიაზრა საკვანძო/ პრობლემური საკითხ(ებ)ი; რამდენად მოიძია/გამოიყენა უახლესი ინფორმაცია, მონაცემები/ლიტერატურა საკითხის დამუშავებისას; რამდენად ფლობს თემატიკის დამუშავებისათვის განსაზღვრულ მასალას; რამდენად საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი (ან/და დამხმარე) ლიტერატურა; რამდენად გამოავლინა ინფორმაციის/მონაცემების მოძიების და კრიტიკული ანალიზის უნარი; რამდენად ლაკონურად და ამომწურავად წარმოადგინა თემატური მოხსენება, ლოგიკურ მსჯელობის საფუძველზე შეძლო მიგნებებისა და დასკვნების არგუმენტირებულად და გამართულად ფორმულირება; დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი/სწორი/დასაბუთებული პასუხების გაცემა. **წერილობითი გამოკითხვა** - არის სტუდენტის ინდივიდუალური შეფასების მეთოდი, რომელიც, მსგავსად ზეპირი გამოკითხვისა, ამოწმებს მის ცოდნას დასმული თემატური კითხვ(ებ)ის გარშემო, საკითხის გააზრებისა და კითხვებზე რელევანტური პასუხების წერილობით გადმოცემის უნარს. წერილობითი გამოკითხვის პროცესში, სასწავლო კურსისა და თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკეულ კურსებში შეფასების ინსტრუმენტად გამოიყენება **ღია კითხვები / თეორიული საკითხები,** რაც საშუალებას იძლევა შემოწმდეს, თუ რამდენად სწორად ესმის სტუდენტს დასმული კითხვის შინაარსი /განსახილველი საკითხი და რამდენად შეუძლია წერილობითი ფორმით მსჯელობა, პასუხების/ძირითადი დებულებების/მოსაზრებების წერილობით მკაფიოდ ფორმულირება. ამ მეთოდით სტუდენტის შეფასებისას ვლინდება პროგრამით

გათვალისწინებული მასალის ფლობის დონე და ხარისხი, ინფორმაციის/მონაცემების კრიტიკული გააზრებისა და ანალიზის, მოსაზრებებისა და დასკვნების დამოუკიდებლად ფორმულირების, არგუმენტირებულად, ლაკონურად, ლოგიკურად ჩამოყალიბებისა და წერილობით გამართულად გადმოცემის უნარი.

- **წერითი დავალება** - განმსაზღვრელი შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტია და ორიენტირებულია სტუდენტის ცოდნის სიტემატიზების, ანალიტიკური აზროვნებისა და აზრის წერილობით ლაკონურად გადმოცემის უნარ-ჩვევათა განვითარება-განმტკიცებაზე. პროგრამის ფარგლებში, სასწავლო კურსისა და მასში განსახილველი კონკრეტული თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენებულია სხვადასხვა ტიპის წერითი დავალება, მათ შორის: **აღწერითი (descriptive)** - მოთხოვს ფაქტების ან ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და დამუშავებას; **ანალიტიკური** - მოითხოვს ფაქტების რეორგანიზებას, კატეგორიზაციას, შედარება/შეპირისპირებას არგუმენტების საშუალებით, საჭიროებს სიღრმისეულ ანალიზს. **დამაჯერებელი (persuasive)** - მოითხოვს ანალიტიკური წერის ელემენტებს, ოღონდ ასევე საჭიროა საკუთარი შეხედულების ახსნაც და დაცვა. **კრიტიკული** - არგუმენტირებული ესსე / რეფერატები / საბაკალავრო პროექტი, მოიცავს დამაჯერებელი ტიპის ყველა ელემენტს, რომელსაც ემატება საკუთარის გარდა, სხვა პერსპექტივის/ხედვისა/მოსაზრების კრიტიკული განხილვა/განსჯა და მისი გამოყენება საკუთარი არგუმენტების განმტკიცებისათვის. (გამოყენებული დავალების ტიპის თაობაზე ინფორმაცია დაკონკრეტებული და დეტალიზირებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში).

- **ესსე** - შეფასების მეთოდია, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ არგუმენტირებული ესსეს დაწერას, სადაც ის წარმოაჩენს საკუთარ პოზიციას/მოსაზრებას დასმული საკითხის გარშემო, ასევე, წარმოადგენს არგუმენტებს, რომლითაც უნდა დასაბუთდეს წარმოდგენილი პოზიციის/ მოსაზრების უპირატესობა. როგორც შეფასების მეთოდი, ესსე ავლენს წერითი კომუნიკაციის, საკუთარი პოზიციის გამოკვეთისა და დასაბუთების, ფაქტის/მოვლენის კომპაქტურად მიმოხილვის, განმარტების, არგუმენტების /კონტრარგუმენტების ჩამოყალიბების, დასკვნის გაკეთების უნარებს. არგუმენტირებული ესეს შეფასებისას უპირატესად გაითვალისწინება: თემის გააზრების სიღრმე/კომპლექსურობა და შინაარსის რელევანტურობა; ესეს სტრუქტურირება და თხრობის ორგანიზება; თემის ირგვლივ თეორიული და/ან ფაქტობრივი მასალის ცოდნა; წერილობითი მსჯელობა, არგუმენტაცია, მოსაზრების მაგალითებით გამყარება; ორიგინალური აზროვნება, საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

- **რეფერატი** - შეფასების მეთოდი, რომელიც მოითხოვს სტუდენტის მხრიდან თეორიული წყაროების, სტატიების, სხვა სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვას, კრიტიკულ ანალიზს, კომენტირებას და საკუთარი პოზიციის კონსტატაციას წერილობითი ფორმით. რეფერატის შეფასებისას ლექტორი ძირითადად ამოწმებს სტუდენტის უნარს, წეროს აკადემიურად, გაიაზროს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრები, შეუპირისპიროს ისინი ერთმანეთს, მოახდინოს მათი ერთიან ტექსტად ფორმირება, იკვლიოს დამოუკიდებლად და გააკეთოს დასკვნები. რეფერატის მომზადება-წარდგენის შესახებ მითითებები და მისი შეფასების კრიტერიუმები დეტალურად არის გაწერილი კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში მათი მიზნების, შინაარსისა და რეფერატის მომზადებით დასადასტურებელი შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით.

- **ტესტი** (ღია/დახურული/კითხვარი/კომბინირებული) - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მხრიდან ლექტორის ავტორობით შედგენილი წერილობითი კითხვების/ დავალებების შესრულებას დროის განსაზვრულ, მცირე მონაკვეთში მათ მიერ განვლილი მასალის ცოდნის, თუ მათი კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნებისა და არგუმენტირების უნარის შემოწმების მიზნით. ტესტები, როგორც წესი, მოიცავს როგორც ღია, ისე დახურულ კითხვებს, და შესაძლოა, ტერმინის განმარტებასაც. კომბინირებული ტესტის შემთხვევაში, დამატებით გვხვდება ასევე თემა, ქეისი ან კაზუსიც. ღია ტესტი

საჭიროებს ერთმნიშვნელოვან მოკლე პასუხს, რაც გამორიცხავს გამოცნობას, დახურულ კითხვებზე პასუხის გაცემისას სტუდენტებს არჩევანის გაკეთება უწევთ ალტერნატიულ ვერსიებს შორის, ხოლო თემა/ქეისი/კაზუსი ითხოვს შედარებით უფრო ღრმა და ვრცელ მსჯელობას. ტესტი საშუალებას იძლევა მოკლე დროში შემოწმდეს მნიშვნელოვანი მოცულობის მასალის ცოდნის დონე, აგრეთვე, საკვანძო საკითხებზე ყურადღების კონცენტრირებისა და დეტალებზე ორიენტირების უნარი. სასწავლო კურსისა და განსახილველი თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ტესტის სხვადასხვა ტიპი: რამდენიმედან ერთი სწორი პასუხის შერჩევის პრინციპზე დაფუძნებული; „სწორია-არასწორია" არჩევანზე დაფუძნებული; ესეის სახის ტესტები, რომელიც მოითხოვს მასალის ორგანიზებას, ინტეგრირებას, რათა სტუდენტებმა გამოხატონ საკუთარი სათქმელი; მოკლეპასუხიანი კითხვები - მოითხოვს ერთი-ორი წინადადებით ან მაქსიმუმ ერთი აბზაცით პასუხის ჩამოყალიბებას; პრობლემების/ ამოცანების გადაჭრაზე ორიენტირებული - მეტწილად გამოიყენება მათემატიკური პროფილის ამოცანების ამოსახსნელად (გამოყენებული ტესტის ტიპის თაობაზე ინფორმაცია დაკონკრეტებული და დეტალიზირებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში).

- **პრაქტიკული ამოცანების ამოხსნა** - შეფასების მეთოდია, რომელიც გამოიყენება კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით სტუდენტის მიერ თეორიული მასალის ათვისებისა და კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის/სიტუაციური მაგალითის ამოხსნის პროცესში ნასწავლი ხერხების/მეთოდების/მიდგომების დამოუკიდებლად და სწორად გამოყენების უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით. პრაქტიკული ამოცანის ამოხსნის შედეგებით სტუდენტის ცოდნა-უნარების შეფასებისას ყურადღება მახვილდება, ერთი მხრივ, თეორიული ცოდნისა და ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკის ფლობის დონესა და ხარისხზე, მეორე მხრივ, თეორიული ცოდნის ტრანსფერისა და ნასწავლი/ათვისებული მეთოდოლოგიიდან კონკრეტული ამოცანის/ დავალების ამოსახსნელად რელევანტური ხერხების/მეთოდების შერჩევისა და მართებულად გამოყენების უნარზე - ნახაზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე. ცალკეულ სასწავლო კურსებში, მათი მიზნების, თემატიკისა და შედეგების მიღწევისათვის შერჩეული დავალებების სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტის ცოდნის შესაფასებლად გამოყენებულია რამდენიმესაფეხურიანი ამოცანა, რომელიც გულისხმობს რეალური პრობლემის მათემატიკური მეთოდების გამოყენებით გადაჭრას, რაც სტუდენტის ცოდნა-უნარების უფრო საფუძვლიანი შეფასების შესაძლებლობას იძლევა.
- **პრაქტიკული დავალება / სავარჯიშო** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ ტექნიკური ან/და ქცევითი უნარების გამოვლენის ხარისხის შემოწმებას. შეფასება შეიძლება დამოკიდებული იყოს საბოლოო რეზულტატზე, მტკიცებულებაზე (პროდუქტი) ან აქტივობის შესრულების პროცესზე. დასაშვებია ორივე ვარიანტის კომბინაცია. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ეს მეთოდი ეფექტურად გამოყენება ცალკეული სასწავლო კურსებში, თუმცაღა, შესასრულებელი დავალებების შინაარსი, მათი შესრულების მითითება თუ შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნების, თემატიკისა და მისაღწევი შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც დეტალურადაა გაწერილი შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- **შემთხვევის ანალიზი** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მიერ კონკრეტული დარგისთვის დამახასიათებელი ან პირიქით, გამონაკლისი შემთხვევის ანალიზს დროის დათქმულ მონაკვეთში. **შემთხვევის განხილვა** (წერილობითი ან/და ზეპირი) - საშუალებას იძლევა შემოწმდეს სტუდენტის კრიტიკული/კრეატიული აზროვნების, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, სიტუაციის ანალიზის, პრობლემის იდენტიფიცირებისა და გააზრების, დასკვნის გაკეთების და კომპლექსური საკითხის გაცნობიერების, მისი გადაწყვეტის გზების ძიების უნარებს, ასევე პროფესიულ-ეთიკულ ღირებულებებს და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს.

- **კაზუსის ამოხსნა** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ სამართლებრივი ურთიერთობების პრაქტიკიდან პრობლემური შემთხვევის ანალიზსა და მისი გადაჭრის საუკეთესო გზის მოძიებას დროის დათქმულ მონაკვეთში. როგორც შეფასების მეთოდი, კაზუსი ამოწმებს სტუდენტების მიერ თეორიული მასალის ფართო ცოდნას, სამართლის ძირითადი ღირებულებების და პრინციპების გააზრებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარს.

- **ქვიზი** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ სტუდენტების წერილობით გამოკითხვას მოკლე ტესტის ფორმატში და შედგება დახურული ან/და ღია კითხვებისგან. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა ქვიზი მოიცავდეს, ასევე ამოსახსნელ ამოცანას/გამოსათვლელ მაგალითს ან/და მინი-ქეისს. ქვიზის მიზანია, შეამოწმოს სტუდენტების მიმდინარე ცოდნა ან/და კონკრეტული ოპერაციების (გამოთვლა/ამოხსნა/განმარტება, სხვ) შესრულების უნარ-ჩვევა, ამიტომ მისი შეფასების სტანდარტული კრიტერიუმია პასუხების სისწორე. ლექტორი სილაბუსით განსაზღვრავს ქვიზის შესრულებისთვის გამოყოფილ დროსა და თითოეული კითხვის წონას კონკრეტული სასწავლო კურსის და თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით.

- **პრეზენტაცია** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის შეფასებას მის მიერ სასწავლო მასალის, მოხსენების თემის / პროექტის / რეფერატის ან სხვა ტიპის დავალების/სამუშაოს ჯგუფის წინაშე ვიზუალური საშუალებების თანხლებით მოთხოვნილ ფორმატში (Power Point/Canva/სხვ) წარდგენის ფონზე. პრეზენტაცია ამოწმებს საპრეზენტაციო თემასთან დაკავშირებით სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მასალის ცოდნის სიღრმეს, მისი დამუშავების დონესა და გადმოცემის მანერას, ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარს, პრეზენტაბელურობას, მოწოდებული ინფორმაციის ადეკვატურობას, ასევე, აუდიტორიასთან ურთიერთობისა და დისკუსიის უნარს.

- **დისკუსია** - შეფასების მეთოდი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები განიხილავენ კონკრეტულ პრობლემას/თემას/საკითხს და ფასდებიან არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირების, დასკვნის გაკეთების, თვითრეფლექსიის, ანალიტიკური უნარების ფლობისა და სხვა რელევანტური კრიტერიუმების მიხედვით.

- **პროექტი** - შეფასების მეთოდი, რომელიც ამოწმებს სტუდენტ(ებ)ის მხრიდან კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოების შედეგებს. პროექტი მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის (პრეზენტაციის) ეტაპებს და იგი შეიძლება, განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. როგორც წესი, პროექტის საკითხებს სტუდენტ(ებ)ი რამდენიმე კვირის განმავლობაში ამუშავებენ და შემდეგ წარუდგენენ ჯგუფს, თუმცა, კონკრეტული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებობს შედარებით ხანმოკლე დროში განხორციელებადი პროექტებიც. როგორც შეფასების მეთოდი, პროექტი ავლენს სტუნდეტის კვლევით, შემოქმედებით და კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, ხოლო ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში - თანამშრომლობის უნარსაც.

- **პორტფოლიო** - წარმოადგენს შეფასების მეთოდს, რომელიც იძლევა უკუკავშირის საშუალებას, ორიენტირებულია სტუდენტის განვითარებაზე და გათვლილი შეფასების გრძელვადიან ეფექტზე. ეს არის სასწავლო კურსის ფარგლებში შესრულებული დავალებების ნაკრები, რომელსაც სტუდენტი აგროვებს, ერთი მხრივ, შეფასებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ - განვითარების, პროგრესის და კურსის ფარგლებში სხვადასხვა კონკრეტულ მონაკვეთში მიღწევების დემონსტრირებისათვის. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, პორტფოლიო შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა ტიპის ნამუშევრისგან, როგორებიცაა: საშინაო დავალების დოკუმენტები (შეიძლება ერთი და იგივე დავალების დრაფტული და

კორექტირებული ვერსია), აკადემიური ჩანაწერები, ესეები, რეფლექსიები, პრობლემებისა და შემთხვევების გარჩევები და ანალიზის წერილობითი მასალები. პორტფოლიოს შედგენისა და ჩაბარების მკაფიო ინსტრუქციები და შეფასების კრიტერიუმები გაწერილია კონკრეტული სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუსში. შესაბამისად, მისი ქულობრივი შეფასება დამოკიდებულია მის სისრულეზე, დავალებების შერჩევის პრინციპებსა და ლოგიკურ კავშირებზე.

- **ექსპერტული შეფასება (Peer Review)** - ანუ ურთიერთშეფასება /სხვისი ნაშრომის **რეცენზირება** - შეფასების რეფლექსიური ინსტრუმენტია, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა-უნარები არა მხოლოდ კონკრეტული დავალების შესრულებისა და შედეგების დემონსტრირების საშუალებით, არამედ, ასევე, აჩვენოს თუ რამდენად კარგად აანალიზებს და აფასებს კურსის ფარგლებში განვლილი სასწავლო მასალის ათვისებას (ანუ „სწავლას“) სხვებთან (თანაკურსელთან ან სხვა ავტორთან) მიმართებით. **ექსპერტული შეფასების** ფორმატში შესრულებული დავალებისას ფასდება სტუდენტის უნარი, თუ რამდენად საფუძვლიანად გაეცნო შესაფასებელ პროდუქტს (პროექტი; მოდელი; კვლევა; პუბლიკაცია; ესსე; სხვ.) და გაიაზრა მასში წამოწეული საკვანძო საკითხები; რამდენად მოიძია და დაამუშავა პროდუქტის (პროექტის/კვლევის/პუბლიკაციის/ესსეს/სხვ.) შეფასებისთვის/კრიტიკისთვის/ რეცენზირებისათვის საჭირო/რელევანტური ინფორმაცია; რამდენად სწორად შეაფასა განსახილველი პროდუქტის/ნაშრომის დიზაინი და გამოყენებული მეთოდოლოგია; რამდენად სწორად მოახდინა პროდუქტის მნიშვნელობის/კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და შეფასება; რამდენად გამოკვეთა პროდუქტის/კვლევის სუსტი და ძლიერი მხარეები; რამდენად ობიექტური, დაბალანსებული და ხარისხიანი შეფასება/რეცენზია წარმოადგინა; რამდენად გაამყარა საკუთარი შეფასება/კრიტიკა მაგალითებით და რამდენად არგუმენტირებულად წარმოაჩინა/დაიცვა პოზიცია; რამდენად ორგანიზებულად გადმოსცა ინფორმაცია და რამდენად დაცულია აზრის სიცხადე, წერის ხარისხი, აკადემიური სტილი, ეთიკის საკითხები წარდგენილ რეცენზიაში/შეფასებაში.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდების მიზანია, ობიექტური და გამჭვირვალე, სასწავლო კურსის სწავლების მიზნებზე და მის სპეციფიკაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენებით, დაადასტუროს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

*სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების შესაბამისობა მისაღწევ და შესაფასებელ შედეგებთან დემონსტრირებულია პროგრამის **დანართით 4** – პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება.*

საბაკალავრო პროექტის მომზადება და შეფასება

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, სწავლება-სწავლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა სტუდენტის პრაქტიკულ კვლევაში ჩართვას და კვლევითი საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა-წარმართვის მინიმალურ უნარ-ჩვევათა განვითარება-განმტკიცებას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში პროფესიული საქმიანობისას ორგანიზაციის/ბიზნესის ფუნქციური სფეროს მართვასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის სტანდარტული/არასტანდარტული მეთოდით კვლევის, მცირე მასშტაბის პრაქტიკულ-კვლევითი პროექტის შემუშავება-წარდგენის, საკვანძო მიგნებებზე არგუმენტირებული მსჯელობისა და საკითხის გადაწყვეტის თაობაზე დასაბუთებული დასკვნების ფორმულირებისათვის.

საბაკალავრო პროექტი - ბიზნესის ადმინისტირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლების დამამთავრებელი ეტაპია საბაკალავრო პროექტის მომზადება-დაცვა, რომელიც უზრუნველყოფს

სტუდენტისთვის მინიმალური კვლევითი უნარების განვითარებას, აგრეთვე, ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნა-უნარების პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენების უნარების განვითარებას. ამდენად, საბაკალავრო პროექტი წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის შემაჯამებელ სამუშაოს, სრულდება ინტეგრირებული პრაქტიკული პროექტის სახით, რომლის მიზანია - სასწავლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის შესწავლით სტუდენტის მიერ შეძენილი კომპეტენციების ფარგლებში მიღებული ცოდნის ინტეგრაცია, გაფართოვება და გაღრმავება კონკრეტული კომპანიის მაგალითზე არსებული პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბების და შემდგომი გადაწყვეტის მეშვეობით; საორგნიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ პრაქტიკულ ჩვევათა განმტკიცება. საბაკალავრო პროექტი სრულდება ბიზნესის ადმინისტრირების რომელიმე ფუნქციური მიმართულების შესაბამის თემაზე, პროექტის თემის სპეციფიკის გათვალისწინებით შერჩეულ ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე.

საბაკალავრო პროექტის წარმატებით დასრულებისა და დაცვისათვის სტუდენტმა უნდა შეძლოს: ბიზნეს პრობლემის კვლევა: იდენტიფიცირება, შეფასება და ანალიზი; პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული სტრატეგიების შემუშავება, მათი შეფასება და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა; შერჩეული სტრატეგიის განხორციელების გეგმის შემუშავება; გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება, სამოქმედო გეგმისა/ღონისძიებების დასახვა ან/და საექსპერტო დასკვნის/რეკომენდაციების მომზადება; შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება.

საბაკალავრო პროექტი მომზადება-შეფასების პროცესი, პროცედურები და კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილია საბაკალავრო პროექტის სილაბუსში. საბაკალავრო პროექტი სრულდება ევროპის უნივერსიტეტის „საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულების წესი“-თ დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და საბაკალავრო პროექტის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით.

დასაქმების სფერო

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლო სფეროა კერძო, საზოგადოებრივ ან/და სახელმწიფო სექტორში სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციები (საჯარო და/ან საერთაშორისო ორგანიზაციები, საწარმოო და ბიზნეს სტრუქტურები, უცხოურ-ქართული ერთობლივი საწარმოები, მცირე ბიზნეს-საწარმოები, სადაც საქმეთწარმოება ინგლისურ ენაზეც მიმდინარეობს). პროგრამის ფარგლებში შეძენილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების საფუძველზე, კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დაიკავოს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სხვადასხვა პოზიცია, მათ შორის, ქვედა/შუალედური რგოლის მენეჯერის, ბიზნესის ცალკეული ფუნქციური სფეროს მართვის სპეციალისტის თუ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსში სხვადასხვა ფუნქციური ან/და ტექნიკური პოზიცია; როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს პრაქტიკულად განახორციელოს ძირითადი პროფესიული ფუნქციები ბიზნესის ცალკეული ფუნქციური სფეროს / ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულის მართვისას;
- ბაკალავრის კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს საორგნიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობა.
- დააფუძნოს სტარტაპ-ორგანიზაცია; ჩაერთოს სამეწარმეო საქმიანობაში და თავად გაუძღვეს სხვადასხვა ინდუსტრიაში მიკრო და მცირე ბიზნესს.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განაგრძოს სწავლა უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე – ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე საქართველოში ან სხვა ქვეყნაში, თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ევროპის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები. კერძოდ:

უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით: სასწავლო აუდიტორიები, საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და ინტერნეტით - პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სასწავლო კურსებისთვის (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის) გამოყოფილია აუდიტორიები, აგრეთვე, კომპიუტერული კლასი, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო კურსებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსით, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისა და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული სწავლების საშუალებას იძლევა.

ბიბლიოთეკა - აღჭურვილია ბიზნესის მართვასთან, ბიზნესის ფუნქციურ სფეროებთან დაკავშირებული დარგობრივი და სამეცნიერო ლიტერატურით, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი წიგნადი ფონდით, (პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან /და ბეჭდური ფორმით), ელექტრონული რესურსებით. ასევე, უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა, შესაბამისად, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია სარგებლობა შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით: EBSCO EP Package ELIT (პაკეტი შეიცავს 11 ბაზას), და eLFL (ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის) ელექტრონული ბაზები (პაკეტი შეიცავს 8 ბაზას), Elsevier - ის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზაში შემავალი შემდეგი ბაზები: Scorpus, Sciencedirect.

საგამოცდო ცენტრი - უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში შეფასების პროცესის მხარდაჭერას.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - ქმნის უნივერსიტეტში მუშაობისა და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისათვის ხელსაყრელ სამუშაო გარემოს.

პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პერსონალით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს უძღვება სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი *(იხ. დანართი 6 - პროგრამის განმახორციელებლი პერსონალი).*

შენიშვნა: *ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დანართები წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.*

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფესორი - ეკატერინე ნაცვლიშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.:

სოფიო ხუნდაძე